

ტრავმაზე ფოკუსირებული კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის
მოდულის პილოტირების შედეგების შეფასება

მარიამ რაზმაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ რაჭმაძე

24.01.2016.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია იკვლიოს პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის სამკურნალო, ტრავმაზე ფოკუსირებული კოგნიტურ-ბიჰევიორული ფსიქოთერაპიის მოდულის პილოტირების შედეგები. კვლევა ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურს-ცენტრის სასწავლო კვლევითი პროექტის ფარგლებში, საქართველოს ფსიქოტრავმის საზოგადოებასთან და კარდიფის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

ტრავმაზე ფოკუსირებული კოგნიტურ-ბიჰევიორული მეთოდი გამოიყენება სტრესთან დაკავშირებული ისეთი ფსიქიკური აშლილობების სამკურნალოდ, როგორცაა პოსტ-ტრავმული სტრესული, მწვავე სტრესული აშლილობა და სხვა.

კვლევის მიზანია თერაპიული მოდულის ეფექტურობის შეფასება და ასევე შესაბამისი პროტოკოლიზებული სახელმძღვანელოს ადაპტირება და მორგება საქართველოს პოპულაციაზე.

მოდულის შეფასებისთვის კვლევაში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი (კლიენტების ფსიქიკური მდგომარეობის შეფასება სტანდარტიზებული კითხვარით, რომელიც კეთდებოდა ყოველ სესიაზე) ასევე თვისებრივი მონაცემები (ფოკუს-ჯგუფი თერაპევტებთან).

კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული მოდული ეფექტურად ამცირებს პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის სიმპტომებს როგორც მარტივი, ასევე კომპლექსური ტრავმის შემთხვევაში. რაც შეეხება პროტოკოლის ადაპტაციას, თერაპევტებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ, სასურველია, სახელმძღვანელოში შევიდეს მითითებები, რა შემთხვევებში და როდის არის რეკომენდებული ინტერვენციის ეტაპების გადაადგილება თუ გარკვეული ეტაპების გამოტოვება. ასევე, თერაპევტების

მოსამზადებელ ტრენინგზე სასურველია მეტი დროის დათმობა ექსპოზიციის ნაწილის განხილვისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტრავმაზე ფოკუსირებული კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია, ფსიქოტრავმა, ტრავმა, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა, პროტოკოლი, აპრობაცია.

Abstract

The formative study was implemented to assess effectiveness of the Trauma Focused Cognitive-Behavioural Therapy module (TF-CBT) for Post Traumatic Stress Disorder (PTSD) treatment, elaborated by the Cardiff University professor Jonathan Bisson and to adopt it to the Georgian reality.

The study took place within the frame of the action-research project implemented by the Ilia State University Mental Health Resources Centre in cooperation with the Cardiff University and Georgian Society of Psychotrauma. The study implied following steps: 1. to evaluate the effectiveness of the TF-CBT module in Georgian settings; 2. to adapt the corresponding protocolised treatment manual to the Georgian society;

For the assessment both qualitative and quantitative data is used (standardized questionnaire assessing mental health status of the clients on each session and data from the focus-group of the therapists) - dynamics of the PTSD symptoms and feedback from the therapists regarding effectiveness of the each part of the intervention and the challenges, as well as recommendations for the manual adaptation.

The study revealed that above mentioned module is successful in reducing the symptom severity of post-traumatic stress disorder in the cases of with both simple and complex trauma. As for the manual adaptation, our recommendation is to add instructions in which cases might be better to skip certain stages in the manual or change the order of the stages. We elaborated recommendation for the training as well – in particular, advised to dedicate more time to the exposure stage of the intervention.

Key words: Trauma-focused Cognitive-Behavioral Therapy, psychotrauma, trauma, Post Traumatic Stress Disorder, treatment manual, approbation.

მადლობა

მადლობას ვუხდით ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს, მოცემული კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ დარეჯან ჯავახიშვილს და ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო კურსის ყველა იმ ყოფილ სტუდენტს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში.